

გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა)

ეკლესია და ეროვნული ფასეულობანი

„დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქვეყანა“ (დაბად.1.1) – გვაუწყებს ღვთისმესაიდუმლე მოსე, ხოლო წმ. ბასილი დიდი თავის „ექესთა დღეთა“-ში განმარტავს: „ღმერთმა, მანამ სანამდე არსებობდა რაიმე ამჟამად არსებული, დაიდო გონებად და ისურვა, არსებად მოეყვანა არარსებული, ამასთან ერთად განსაჯა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სამყარო და შექმნა მატერია, შესაბამისად სამყაროს ფორმებისა“.¹ და „მთელი სამყარო, შედგენილი სხვადასხვაგვაროვანი ნაწილებიდან, სიყვარულის უწყვეტი კავშირით შეაკავშირა ერთიან ურთიერთობასა და ჰარმონიაში“.² მაგრამ რომელ დასაბამზე ბრძანებს წინასწარმეტყველი მოსე, განა ეს სიტყვა „დასაბამი“ დროის კატეგორიას მიეკუთვნება? წმ. იოანე მახარებელთან ვკითხულობთ: „პირველითგან იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყვა იგი. ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა. ყოველივე მის მიერ შეიქმნა და თვინიერ მისა არცა ერთი რა იქმნა რაოდენი-რა იქმნა“ (ინ.1.1-3). მოსეს „დასაბამი“ და იოანე მახარებლის „პირველითგან იყო სიტყვა“, ორივე ერთია, ორივე აღნიშნავს მაცხოვარს – უფალ იესო ქრისტეს. ცა და ქვეყანა და ყოველივე ქმნილი შეიქმნა „პირველითგან“, ანუ ქრისტე მაცხოვარში.³ და ყოველი ხილული და უხილავი სამყაროს შექმნის შემდგომ, ღმერთმა შექმნა ადამიანი.

ძალზე ყურადსაღებია ადამიანის შექმნის ამბავი: „და თქვა ღმერთმან ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა. და მთავრობდეს იგი თევზთა ზღვისათა და მფრინველთა ცისათა და პირუტყვთა და მხეცთა და ყოველსა ქვეყანასა და ყოველთა ქვეწარმავალთა ქვეყანასა ზედა. და შექმნა ღმერთმან კაცი, ხატად თვისად შექმნა იგი, მამა-კაცად და დედა-კაცად შექმნა იგი“ (დაბად.1.26-27). სწავლება ადამიანის შექმნაზე ღვთის ხატად, არის პატრი-სტიკული ანთროპოლოგიის საფუძველი. ზოგიერთ ადრექრისტიანულ მამათა სწავლებით, „ხატება ღმრთისა“ მიუთითებს ქრისტეზე, ანუ ქრისტე არის ხატი მამისა, ხოლო ადამიანი კი – ხატი ქრისტესი. ხატება მოიცავს სულიერ, ხორციელ (სხეულის ფორმა) და საწყისობრივ (ადამი) ასპექტებსაც. ის

¹ Библейские комментарии оtcов Церкви. т.1. с.3 изд. Германевтика. Тверь 2004

² იქვე

³ იქვევ.2

კავშირშია, როგორც ადამიანის ღმერთთან დამო-კიდებულებასთან, ასევე ადამიანის დადგენასთან ყოველივე შექმნილის, მთელი სამყაროს თავში და გამოიხატება იმით, რომ ჩვენ ვფლობთ გონებას, თავისუფლებას, სათნოებას და სამართლიანობის გრძნობას. ხოლო საუბარი მსგავსებაზე მიგვი-თითებს, რომ მას უნდა მიაღწიოს ადამიანმა სარწმუნოებითა და წმინდა ცხოვრებით.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, თუ როგორი პატივით იქნა შექმნილი ადამიანი. აი, რას ამბობს წმ. იოანე ოქროპირი: „უპირველესად ვიხილოთ, რატომ მყარის შექმნისას არა სთქვა ღმერთმა „შექმნათ“, არამედ თქვა – „იყოს ნათელი“ და თქვა – „იყოს წყალთა შორის მყარი“... და ამგვარად შესაქმის ყოველ ნაწილში? იმიტომ, რომ ეს „შექმნათ“ მიუთითებს მსჯელობაზე, მოაზრებასა და კრებაზე თანაბარი დიდების მქონე პირთა. მაგრამ ვის გამო შეწყდა შესაქმე, ვის მიეგო ეგოდენი პატივი? ეს იყო ადამიანი: დიდი და საოცარი არსება, რომელიც ყოველივე ქმნილიდან ყველაზე ძვირფასია ღმერთისთვის. ამიტომაცაა მსჯელობაც, მოაზრებაც და კრებაც; არა იმიტომ, რომ ღმერთს სჭირდება მსჯელობა – ნუ იყოფინ! – არამედ იმისათვის, რომ თვით სიტყვათა სახეში გამოჩნდეს შექმნისას ჩვენთვის ბოძებული პატივი“⁴ ამგვარი დიდებულებითა და პატივითაა აღბეჭდილი ყოველი ადამიანი და ერი, ესაა „ანი“ კაცთა არსებობისა დედამიწაზე და „ჰოე“ მისი მისწრაფებების. ჩვენი მოხსენებაც ამგვარ ჭრილში გვსურს წარვმართოთ.

თუ, ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი, სრულიად თავისუფალი ნებისა და თვითგამორკვევის უნარის მქონე პირველი ადამიანების ურთიერთობა ღმერთთან საკუთარი შემოქმედისადმი სიყვარულით, სიხარულით, სიბრძნის შემეცნებითა და მარადისობისმოლოდინით იყო აღვსილი, სულ სხვაგვარია დაცემის შემდგომი ადამიანი. ამასთან დაკავშირებით წმ. იოანე ოქროპირი ბრძანებს: „რადგანაც ადამიანმა გამოიჩინა ურჩობა, ღმერთმა მოაკლო მას სამოთხი-სეული ცხოვრება და მოთოკა მისი ამპარტავანება, რომ ზედმეტად თავი არ აემაღლებინა. მან მწუხარება და ჭირი მიუსაჯა ადამიანს და უთხრა შემდეგი: „თვითნებობამ და დაუსჯელობამ დაგა-ვიწყეს ჩემი მცნებები და ურჩობამდე მიგიყვანეს შენ. უზრუნველობა შენი გახდა მიზეზი საკუთარ არსებაზე დიდი წარმოდგენისა. ამიტომაც მიმიცემიხარ შენ ჭირსა და მწუხარებისთვის, რომ მიწის მუშაკობისას გახსოვდეს შენი ურჩობა და შენი არსების არარაობა“⁵ და მეტად რომ გავაცნობიეროთ ცოდვი-თი

⁴წმ. იოანე ოქროპირი. საუბრები შესაქმეზე

⁵Библейские комментарии отцов Церкви. т.1. с.115

დაცემის შემდგომი სახეცვლილება ადამიანისა, მოუსმინოთ წმ. გრიგოლ ნოსელს: „ის, ვინც დაგლეჯილ კვართშია გამოწყობილი და მოიშორებს ხსენებულ სამოსს, ვერ იხილავს საკუთარ თავზე ამ უსახურობას. ასევე ჩვენც, როცა განვეშორებით ამ მომაკვდინებელ და უწმინდურ კვართს, რომელიც დაგვედო უგუნურ ცხოველთა ტყავთაგან (ტყავში ვგულისხმობ უტყვ არსებათა მსგავსებას, რომელშიც გავეხვიეთ ვნებათა შეთვისებით), მაშინ განვეშორებით ყოველივეს, რაც იყო ჩვენზე უტყვთა ტყავისგან. უტყვთა ტყავისგან კი მივიღეთ შემდეგი: ხორციელი შეერთება, ჩასახვა, შვილთა სხმა, უწმინდურობა, ძუძუსჭმევა, კვება, განსავალით გასვლა, თანდათანობითი მომწიფება, სიმწიფე, სიბერე, ავადმყოფობა და სიკვდილი.“⁶

მაგრამ კაცობრიობას აქვს საშუალება დაუბრუნდეს ღმერთსაც და თავის ჭეშმარიტ სახესაც. ეს დაბრუნება კი, მხოლოდ ქრისტეში და ქრისტეთი ხდება, რამეთუ ყველა ადამიანი სულიერად დაწინდულია ეკლესიასთან და კავშირშია ქრისტესთან. როგორც ევაა დედა ძველი კაცობრიობისა, ისე ეკლესია არის დედა – ახალი, ქრისტეში ნაშობი კაცობრიობისა.⁷

მიგვაჩნია, რომ ქართველი ერის ისტორია არის ამ უზენაესი იდეის სამსახური, რომელმაც ერს შესძინა ღირსება და ღიდება, მის შვილებს კი, ღვთაებრივი სამყოფელის მკვიდრობის უფლება მიანიჭა. და თუ წმ. მოციქული პავლე ბრძანებს: „არა არს ჰურიება, არცა წარმართება; არა არს მონება, არცა აზნაურება; არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქვენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესოს მიერ“ (გალ.3.28), გვაქვს თუ არა უფლება ვისაუბროთ ამა თუ იმ ერის ავ-კარგიანობაზე, მის დანიშნულებასა და განვითარების გზაზე, ვისურვოთ თვითმყოფადობის შენარჩუნება, ერთი სიტყვით – გვაქვს უფლება ვიყოთ პატრიოტები? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მივმართოთ ერთ-ერთ გამორჩეულ მოღვაწეს ჩვენი ერისა, წმ. ექვთიმე მთაწმინდელს. აი, რას ბრძანებს იგი მისთვის დასმულ კითხვაზე: „ხოლო წინა-მდებარისა ამის პირისათვის არც ჩვენ გლახაკნი ესე და უნდონი უმეცარ ვართ, ვითარმედ სამართლად და განკითხვითა ჭეშმარიტითა უყო ღმერთმან ქანა-ნელთა მათ, და ესე ესრეთ გულისხმა ყავ: მართალი ნოვე ნეშტად ნათესავისა კაცთასა დაშთა სოფელსა ამას შინა შემდგომად წყლით რღუნისა და მოსწრაფე იყო სწავლად ძეთა მისთა წესსა ღმრთისმსახურებისასა და კრძალულებისასა, რათა არა შთავარდენ უწესობათა მათ, რომელთა

⁶წმ. გრიგოლ ნოსელი. საუბარი სულსა და ადღმომავლზე.

⁷Библейские комментарии отцов Церкви. т.1. с.84 изд. Германевтика. Тверь 2004

შინა იყო ნათესავი იგი პირველი წყლით რღუნისა, რომლისათვის მოვიდა მათხედა რისხვა ღმრთისა. ამისთვისცა არა სიტყვით ხოლო ასწავლიდა მათ წესიერებასა, არამედ ფიციცა მოჰხადა, რათა კაცად-კაცადმან მშვიდობაი და სიყვარული დაიცვას ძმისა თვისისა მიმართ. და განუყო სამთა მათ ძეთა მისთა ყოველი სოფელი წილგდებით და განაწესა, რათა თითოეულსა აქუნდეს თვისი წილი ნათესავითი ნათესავად და არა მიიხუეჭოს ნაწილისაგან სხუათა ძმათასა.

იქმნა უკუე ნაწილი სემ, პირმშოისა ძისა, სპარსეთით ჰინდოეთამდის სივრცით, ხოლო სივრძით ვიდრე რინოკურურადმდე; ხოლო რინოკურურაი არს შორის ეგვიპტისა და პალესტინისა, დამართებით ზღვისა მეწამულისა. ხოლო ქამს, მეორესა მას ძესა, რინოკურურითგან ვიდრე მათთა მათ დადერონთა, სამხრით კერძო. ხოლო იაფეთს, მესამესა ძესა, ქვეყანით უჟიკთაით ვიდრე დადერონადმდე და რინოკურურადმდე, ჩრდილოით კერძო.

ესხნეს უკუე სემს შვილნი და შვილიშვილნი ვიდრე განყოფადმდე ენათა, და მიერთგან განიყვანეს ენანი, ტომნი და მთავრობანი”⁸ (ტექსტი გრძელდება სხვადასხვა ერთა ჩამონათვალით).

ამ სიტყვებიდან გამომდინარევეგებულობთ, რომ მართალია ყველა ერს საერთო წინაპარი ჰყავს, მაგრამ ენათა განყოფამ სხვადასხვა ერებად, მრავალიურთიერთგანსხვავებული ეთნოფსიქიკის, ტრადიციების და კულტურათა ფორმირება განაპირობა. ამიერიდან, ესა თუ ის მოდგმა ურთიერთისაგან განირჩეოდა, როგორც ეთნოფსიქოლოგიითა და ენით, ისე ტერიტორიითაც.

ყოველი ერი სულიერი ორგანიზმია, ხოლო ყოველი ენა – უდიდესი ღირებულება, რადგან იგი ღვთით მოგვეცა. ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღვთით მოგვეცა ქვეყნის საზღვრებიც, რომელსაც სამშობლო ჰქვია.

ეპოქების მიხედვით ერის ფენომენზე, მის წარმოშობაზე სხვადასხვა აზრი არსებობდა, მაგრამ აზრთა შორის დომინანტი იყო ღვთაებრიობის პრინციპი. იყო მცდელობა, წინ წამოეწიათ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი ამა თუ იმ ერის ჩამოყალიბებაში, მაგრამ მხოლოდ სოციალურ და ეკონომიკურ მექანიზმებს როდი შესწევთ უნარი, შექმნან კულტურა.

კულტურა სულიერების ნაყოფია, ერი რომ უარყო, როგორც სულიერი ინდივიდი, უნდა უარყო მისი ეროვნული კულტურა. მსოფლიო ცივილიზაცია ეროვნულ კულტურათა ერთობლიობაა და სწორედ ეს არის კაცობრიობის მშვენიერება.

⁸სიმონმასხარაშვილი. მატეანექართველთა

„ვით მამა ზეცისა, იყავნ შენც სრულ“ – აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია, ცალკე ადამიანია თუ მთელი ერი, ამ სისრულის გზაზე, ვინ რამდენად წინ წამდგარა, ვის რამდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა სწრაფვაამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის – აი საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელის ერისა“ – წერს წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) თავის შეგონებაში.

უნივერსალური პრინციპი ღვთის მცნებებია, რომელსაც უნდა დაეყრდნოს თითოეული ადამიანი თუ ერი. ღვთის კანონთა დარღვევას ადამიანითუ საზოგადოება თვითგანადგურებამდე მიჰყავს. ჩვენი გონება უფაქიზესი სულიერი ორგანოა, რომელიც მუდამ ღვთის ნებას უნდა მიჰყვებოდეს და სიბრძნეს ეძიებდეს.

უფაღმა უბოძა ქართველებს მადლი და ნიჭი იმისა, რომ ქალისაგან მიეღოთ ღვთაებრივი სიტყვა. როგორც მთელი კაცობრიობის, ისე საქართველოს ისტორიაში წარმართობა ხანგრძლივი და მძიმე პერიოდია, ქრისტიანული დილის წინარე ბნელი ღამეა.

წმინდა მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მატათამ იქადაგეს ქრისტიანობა საქართველოში, მაგრამ ქართველთა უდიდესი ნაწილის გული დახშული აღმოჩნდა ქრისტეს სიტყვათა მისაღებად.

ებრაელი ერი ერთადერთი იყო, რომელსაც ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ ცოდნა მოსეს პირით თვით უფლისაგან ეუწყა, მაგრამ მხოლოდ მათმა ნაწილმა ცნო ქრისტე-მესია და მათ შორის იყვნენ ქართველი ებრაელებიც–წმინდა სიდონია, ელიოზი, ლონგინოზი და მათი დედა. საქართველოში, ღვთაებრივ ჭეშმარიტებაზე უწყება, ჩვენი წინაპრების წარმართობის პერიოდშიც, საკმაოდ აქტიურად ტრიალებდა.

ქართლში ჩამობრძანებულ იქნა ქრისტიანობის უდიდესი სიწმინდე მაცხოვრის კვართი „კვართი დამკვიდრდა იქ, სადაც პირველად გაუხსნეს გული ძველი აღთქმის მღვდლებმა უფალს, სადაც გაიღო პირველი „ულპოლვილი“ ხიდი ძველი აღთქმიდან ახალი აღთქმისაკენ, სადაც პირველად მოხდა ჰურიათა ბაგინის [სინაგოგა, შესაკრებელი] ეკლესიად გარდა-ქმნა და მასზე წმინდა ნინოს მიერ მაცხოვრებელი ჯვრის აღმართვა“.⁹

⁹ ელიშერ ჭელიძე. ღვთისმშობლისადმი ქართლის წილხვდომილობის შესახებ

იმ დროს კი, როცა საქართველოში წმინდა ნინო შემოდის, ქართლში მეფობს წარმართი მეფე მირიანი. იგი არ არის ქრისტიანად მონათლული, მაგრამ შინაგანად სიკეთის მატარებელია – მფარველობს ქართლში მოღვაწე აბიათარ მღვდელს.

ნინოს ლოცვით მოექცა დედოფალი ნანა, თვალები აეხილა მეფეს. მან შეძლო მოედრიკა ქართველთა სიფიცხე. ქალის წილხვედრი ქვეყანა ქალმა გადაარჩინა – ქართველმა ერმა მიიღო და გული გაუხსნა იესო ქრისტეს.

იმ დღიდან, ჩვენი ერის თვითმყოფადობა შეესისხლხორცა ქრისტიანობას, ხოლო „მამული, ენა და სარწმუნოება“ სამ ღვთაებრივ საუნჯედ იქცა.

„საქართველოს ერმა გადაიხსნა გული, შიგ განიბნინა ჯვარი იგი პატიოსანი და თვითონაც ჯვარს ეცვა და არავის კი არ შეარყვნევინა არც თავისი გული და არც გულში ღრმად და მკვიდრად გაბნეული ჯვარი.

ჩვენი ისტორიის სახელი და დიდება, ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასწაულმოქმედი მხნეობა, თავგანწირვა, თავდადება, ვაჟკაცობა, სულ იმ ნათლით არის გასხვიოსნებული, იმ შარავანდელით არის მოსილი, რომელიც „ძელმა ჭეშმარიტებისამ“, წმინდა ნინოს მადლით და ღვაწლით აღმართულმა, მოჰფინა მთელს ჩვენს ქვეყანასა. ამ ძელზე სხვიოსანის ასოებით, ქრისტეს წმინდა სისხლით დაწერილი იყო და არის იგი მცნება, რომელიც უდიდესია ყოველს მცნებაზედ: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“. ამ მცნების მოძღვარს ეთაყვანებოდა ჩვენი ქვეყანა, იგი აღიარა ღმერთად და იმას აუნთო თავისი გული წმინდა სანთლად, რომელიც დღეს აქამომდე არ გამქრალა და არც გაჰქრება, მინამ არ გაჰქრება თვითონ ქართველიცა“ – წერს წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე).¹⁰

ქრისტიანობას ჩვენი წინაპარი ქართველობასთან აიგივებდა. ხშირად „გაქართველდაო“ იტყოდა გაქრისტიანების მაგივრად. მაგრამ თავისი სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, ყოველთვის იცოდა სხვისი სარწმუნოების პატივისცემა. ჩვენს ისტორიაში ვერ იპოვი მაგალითს, რომ ქართველს სხვისი სარწმუნოება დაეჩაგროს. იმის მაგალითი კი ბევრია, რომ სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილთ აქ, ჩვენთან ეპოვოთ თავშესაფარი.

„ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღედეთ მკერდი

¹⁰ ი. ჭავჭავაძე. ქართველიერიდაღვაწლიწმინისი

და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დაგუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიუღიტენით, თავი გავწირეთ, ცოლ-შვილი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისთვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს – სამართლიანის თავმომწონებით ვეძახით“¹¹ კვლავაც ბრძანებს წმ.ილია მართალი.

ქრისტიანობისათვის თავგანწირვა მამულისათვის თავგანწირვას უდრიდა. და მართლაც, ჩვენი ისტორია სწორედ ქრისტესა და მამულისათვის წამებულთა სისხლიანი ისტორიაა.

თუ არა ღვთის დიდი მოწყალება და მისი შეწევნა, თუ არა იმ დიდბუნებოვან კაცთა თავდადება, რომელთაც თავი შესწირეს ქრისტეს, მამულს და დაამტკიცეს, რომ ჭეშმარიტება მეტად უღირთ, ვიდრე საკუთარი სიცოცხლე, საქართველო ვერ გაუძლებდა იმ ურიცხვ ქართველს, რაც მას თავს დაატყდა.

თვით პირველმა ბაგრატოვანმა მეფემ – აშოტ კურაპალატმა თავი ქვეყნის განთავისუფლებას და გაერთიანებას შესწირა. ბრძოლებში შეუდრეკელი მეფე უსიტყვოდ ემორჩილებოდა ეკლესიის მსახურებს.

სარკინოხთა მოულოდნელი თავდასხმის დროს მეფემ ნიგალის ხევს შეაფარა თავი, მაგრამ არაბებმა, მოღალატეების დახმარებით შეიპყრეს ტაძარში მყოფი მეფე აშოტი და „დაკლეს იგი, ვითარცა ცხოვარი აღსავალსა საკურთხეველისასა და სისხლი იგი მისი დათხეული დღესაცა საჩინოდ სახილველ არს“ – წერს სუმბატ დავითის ძე თავის წიგნში „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“.

ქრისტიანობისა და მამულის დასაცავად გასწირა თავი „შესახედავად ტურფამ, თმითა და წუერითა მწყაზარმა და შუენიერმა“ მეფე დემეტრემ, რომელსაც ქართველმა ერმა თავდადებული შეარქვა.

1226 წელს თბილისი ხელთ იგდო ჯალალედინმა, რომელმაც ქართველებს ხიდზე დადებულ ხატზე გადაავლა მოსთხოვა. 100 ათასმა ქართველმა თავი გაწირა და არ შეურაცხყო ხატი. ისინი წმინდანად შერაცხეს. მსოფლიოს არ ახსოვს ერთად ასეთი რაოდენობის, ერთ დღეში მოწყვეტილი მოწამე.

მე-14 საუკუნეში, თემურ-ლენგის უსჯულოთა ლაშქარმა, „რომელსაც ვერ იტევდნენ მთანი და ველნიდა ყოველნივე არენი და სანახნი საქართველოსანი“, იავარ-ჰყო და პირისაგან მიწისა აღგავა მრავალი ეკლესია-მონასტერი, მათ შორის ქვაბთახევის მამათა

¹¹ი. ჭავჭავაძე. რა ვითხრათ? რით ვაგახაროთ?

მონასტერი. მტარვალებმა მონაზონნი და ერისკაცნი ტაძარში გამოწვეს. ნეტარი მოწამეები ფსალმუნთა გალობით შეეგებნენ სიკვდილს.

წმინდანთა დასშია შერაცხილი კახეთის დედოფალი ქეთევანი, რომელიც შაჰ-აბაზმა აწამა, როგორც „უღრეკი“. მან არ უარჰყო ქრისტეს რჯული. სიკვდილის წინ ერთი რამ სთხოვა მხოლოდ ჯალათებს – „დედის ნაშობნი ხართ თქვენც და ნუ შეურაცხყოფთ სიშიშველით“.

21 ივნისს საქართველოს ეკლესია აღიდებს მეფე ლუარსაბს, რომელიც ამ დღეს ეწამა შაჰ-აბაზისაგან. შვიდი წელი ჰყავდათ იგი ციხეში გამომწყვდეული და ცდილობდნენ მის გამაჰმა-დიანებას, მაგრამ მეფე „ესრეთ მტკიცედ და შეურყეველად ჰდგა, ვითარცა კლდე ანდამატი... და განკვირვებული იყვნენ სიმხნისა და ახოვნების მისისათვის“. ჯალათებმა იგი მშვილდის საბლით დაახრჩვეს.

მამულის მსახურება, ჭეშმარიტი რწმენითა და თავგანწირვით, ერთ-ერთი უმთავრესი ღვაწლია. სწორედ ამიტომაც არიან ასეთი ადამიანები ეკლესიისაგან წმინდანებად შერაცხილნი.

„სამშობლო, შენი წინაპრების ძვლებით გაპო-ხიერებული მიწაა, შენი ენით გაჯერებული ჰაერია, შენი გენით, შენი ხასიათით დატვირთული გარემოა.“

აქ, ამ სივრცეში, მყოფობს მთელი ისტორია ერისა და ქვეყნისა, და ეს ყოველივე თითოეულ ჩვენთაგანთან უხილავი, მაგრამ ძლიერი ველით არის დაკავშირებული. ამიტომაც, სამშობლოს არა აქვს ოდენ მიწიერი, მატერიალური სახე. მის განსა-კუთრებულობას განაპირობებს ისიც, თუ რამდენად მრავალრიცხოვანი წმინდანთა დასი ჰყავს ერს სულიერ მეოხად ღვთის წინაშე. ამ მხრივ, საქართველოს თითქმის ვერავინ შეედრება. სამშობლოსათვის და ქრისტესათვის შეწირული და გულანთებული გმირები საქართველოს არასოდეს დაეღევა“ – წერს თავის საშობაო ეპისტოლეში საქართველოს პატრიარქი ილია II.

რა არის ჩვენი ერის იდეა და რაში ვლინდება იგი? ეს არის ჭეშმარიტების მსახურება, რაც პირველ რიგში გამოიხატება უფლისადმი ჩვენს უდიდეს სიყვარულში, მისდამი ერთგულებასა და თავგან-წირვაში. უზენაესი ჭეშმარიტებისადმი თავდადება არის ქართული იდეა. ამიტომაც გვიანდერძა წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალმა: „ეძიებდით ქრისტესა-თვის სიკვდილსა!“ და მართლაც, ჩვენი ერი ჯვარს ეცვა ჯვარცმული ღვთისათვის.

საქართველოს ისტორიამ იმგვარი მაგალითებიც იცის, როცა სხვა გვარტომის ადამიანებს, ჭეშმარი-ტების შეცნობის შემდეგ, თავი გაუწირავთ. ასეთები არიან – რაუდენ პირველმოწამე, ევსტათი

მცხეთელი, აბო თბილელი და სხვები, რომელთაც უარჰყევს თავიანთი სარწმუნოება და თავი დასდევს ქრისტიანობას.

„მშობლიური მიწა-წყალი, მამული, მარტო ნივთიერი ფაქტორი არ გახლავთ. იგი ამასთან ერთად სულიერია, ცოცხალი არსებაა, თუ ერთ მხრივ იგი იპყრობს მამა-პაპათა გვამთა, მეორე მხრივ მასში ტრიალებს წინაპართა დიდებული სული და ეს სული აცოცხლებს, ასულდგმულებს, აცხოველებს თანამედროვე თაობათა. წაართვით ერს მიწა-წყალი, მისი ტეროტორია და იგი დაჰკარგავს არა მარტო ნიადაგს არსებობისას, არამედ მოსწყდება იმ დიდებულს ისტორიულს სულსაც, რომელიც სამშობლოში ტრიალებს და დაემსგავსება მუხის მოჭრილ რტოს, რომელსაც გახმობა ვერ ასცდება“¹² – ბრძანებს იაკობ გოგებაშვილი, თავის ნაშრომში „ბურჯი ეროვნებისა“.

აი, რატომ სწირავდნენ თავს ჩვენი წინაპრები ქრისტეს რჯულისა და თითოეული გოჯი ქართული მიწის შენარჩუნებისათვის. თუ არა ქრისტიანული მადლი, ვინ დაბადებდა ისეთ გმირებს, როგორებიც იყვნენ: თორნიკე ერისთავი, დავით და კონსტანტინე, შალვა, ბიძინა და ელიზბარი, მღვდელი თევდორე.

მამული და სარწმუნოება განუყოფელია, მაგრამ მასთან ერთად არის შერწყმული ჩვენი ენა ქართული – „შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა“.

„გადიდებ შენ და გმადლობ შენ, მოწყალეო, რამეთუ გვქმენ მსგავსად შენდა, რამეთუ მოგვანიჭე ენა ქართული და რწმენა ჭეშმარიტი, სიყვარული ღმრთისა და სიყვარული მოყვასისა, მოგვფინენ ნათელი გონებისა და ჭეშმარიტებაი მეცნიერებისა“ – ეს სიტყვები საქართველოს პატრიარქს, ილია მეორეს ეკუთვნის, რომელიც მან სინას მთაზე წარმოთქვა და მართლაც, ჩვენს ერს, ქართული ენის სახით, უდიდესი საუნჯე აქვს და მას თითოეული ჩვენგანი უნდა გაუფრთხილდეს. ენა არ არის მარტო კომუნიკაციის საშუალება. ჩვენს ენაში განცხადებულია ჩვენი ისტორია, ჩვენი მსოფლადქმა და აზროვნების წესი.

ქართული ენის სისავსეს, მის დიალექტთა და კილოკავთა მრავალფეროვნებას, ქართველი კაცის განცდათა სიღრმე და მდიდარი სულიერი სამყარო განაპირობებს.

საუკუნეთა მანძილზე განცდილი ცვლილებების მიუხედავად, არ გაწყვეტილა კავშირი ძველ და თანამედროვე ქართულ ენას შორის, რაც მის სიცოცხლის უნარიანობაზე მეტყველებს.

¹²ი. გოგებაშვილი. ბურჯი ეროვნებისა.

აი, რას წერს იაკობ გოგებაშვილი თავის პუბლიცისტურ ნაშრომში „ბურჯი ეროვნებისა“: „დედა ენა არის ენა ლოცვისა, პოეზიისა, ზნეობრივის და მოქალაქეობრივის მოვალეობისა. იგი მრავალი ძაფით არის მიბმული ჩვენს სულთან, მის ლოგიკურს ნიჭთანა, მის მუსიკალურს, მგრძნობიარე მხარესთან. უცხო ენა უძლურია აღზარდოს, გაფურჩქნოს და სრული ძლიერებით გამოხატოს ის მაღალი და ღრმა მოძრაობა სულისა, რომელსაც ჰქვია სარწმუნოებრივი გრძნობა. სარწმუნოება, სასოება მთლად და სავსებით სუფევს ადამიანის გულში, და მხოლოდ გულში. ღმერთი არის მეუფე გულისა, და მხოლოდ გულისა. ის მხურვალე გრძნობა, რომლითაც ადამიანი მიმართავს უფალსა, სავსებით გამოიხატება მხოლოდ დედა-ენით, იმიტომ, რომ მხოლოდ დედა-ენა არის ენა გულისა, გრძნობისა, სხვა ენა აქ ყოველად უძლურია, მხოლოდ დედა-ენაზედ შეიძლება ილოცოს ადამიანმა გულმხურვალედ“¹³.

ჩვენი ხალხი საუკუნეების მანძილზე აყალიბებდა ჩვენს დიდებულ უნიკალურ ენას. ამ ენაზე შეიქმნა ჩვენი უძველესი მწერლობა, ამ ენაზე დაიწერა „წამებაი წმიდისა შუშანიკისა“ და „ვეფხისტყაოსანი“, რომლის ენაც ღვთისაგან არის ნაკარნახევი. ამ ენაზე მეტყველებდნენ გელათისა და იყალთოს აკადემიებში, ეს ენა უღერდა სინას მთაზე, წმინდა ათონსა და იერუსალიმის ჯვრის მონასტერში.

სასიკვდილოდ დაავადებულ ყრმა ექვთიმეს, რომელსაც თითქმის დავიწყებული ჰქონდა მშობლიური ენა, დედა ღვთისმშობელი გამოეცხადა, „უპყრა ხელი ჰრქვა აღსდევ, ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდე“. გამოჯანმრთელებულმა ბავშვმა ისეთი წმინდა ქართულით იწყო ლაპარაკი, რომ მამამისი – წმინდა იოანე მთაწმინდელი მიხვდა, თუ რისთვის მოამზადა მისი შვილი უფალმა. ჩვენი საეკლესიო ლიტერატურის განძეულის საკმაოდ დიდი ნაწილი, სწორედ ექვთიმე მთაწმინდელმა თარგმნა ძველი ბერძნულიდან. დღესაც, ქართული ენის უნიკალურობა და ძველი უღერადობა ეკლესიამ შეინარჩუნა – ღვთისადმი აღვლენილი ლოცვები იმ პირვანდელი სურნელოვანი ენით აღესრულება, რომელიც ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა შექმნეს.

„გაჰქრა ენა ერის? გაჰქრა თვითონ ერიცა... ხოლო ერის გადაგვარება და გაქრობა მარტო მისს კერძო უბედურებას როდი შეადგენს. იგი ნამდვილი დანაკლისია თვით კაცობრიობისათვის, რომელსაც ამითი აკლდება ერთა თვისი ნაწილი ანუ წევრი, უშრება

¹³ი. გოგებაშვილი. ბურჯი ეროვნებისა.

ერთი იმ წყაროთაგანი, რომელნიც ავსებენ შეერთებულად კულტურის მსოფლიო ზღვასა“ (ი. გოგებაშვილი – „ბურჯი ეროვნებისა“).

რა განსაცდელი და გაჭირვება არ გადაიტანა ენამ ქართულმა თავის ერთან ერთად – გაბერძნება, გასპარსება, გაარაბება, გაოსმალეობა, გარუსება. აი რას წერს მიხეილ წერეთელი თავის ნაშრომში „ერი და კაცობრიობა“: „ქართველი ერის ერთი ნაწილი დღეს გაოსმალეობის გზაზე ადგია, ჟამთა ვითარებაში ეს ნაწილი ძალით ჩამოაჭრეს ქართულ ეროვნულ ორგანიზმსა. ქართველს არ სურდა ნებით მოსცილდებოდა თავის საზოგადოებას. საუკუნეობით იბრძოდნენ გმირები, მაგრამ დღეს ხალხილა დარჩენილა ამ ქართველთაგან. იგინი აღარ არიან ნაწილი ქართველი ერისა. ზოგი ისევ საქართველოს ტერიტორიაზედ დარჩენილა, ზოგიც გადასახლებულა ოსმალეთის სხვადასხვა ადგილას, მაგრამ აქ დარჩენილიც და გადასახლებულიც სოციალური მასალაა ქართველი ერისა. ბევრს გაღვიძებაც ეტყობა: თხოულობენ ქართულ სკოლებს, შეუნახავთ ქართული ენა, რომლის განვითარებასაც თხოულობენ. შერჩენიათ კიდევ ტიპი ქართული და მრავალი ზნე ჩვეულება, ქართველი ერიც სცდილობს დაიბრუნოს თავისი დაკარგული ნაწილი და როდესაც ერთ ნაწილს მაინც დავიბრუნებთ, გავხდით ისევ ჩვენი ერის ნაწილად, მაშინ იმ ნაწილთ დაბრუნებაც ადვილი იქნება, სადაც ენაც კი დავიწყებით და მცირე მოგონებებიდა დარჩენილა ქართველობისა, მაშინ კვლავ აღსდგება საქართველო, ისევ გა-ცოცხლდება საქართველოს ეროვნული ერთობა, ერთობა კულტურისა, მაშინ ვიხილავთ აჭარელ, სამცხელ, ტაოს მწერალთა და ხელოვანთა, იქაურ ქართველ გმირთა, რომელთაც ქართული ეროვნება ისევე ექმნებათ მჯდარი გულში“¹⁴.

საოცარია, მაგრამ საქართველოს ბედ-იღბალი თითქოს ბორბალზე ტრიალებს. ჩვენი პატრიოტი წინაპრების გულისტკივილი დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც წინა საუკუნეებში.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში გიორგი ერისთავის ქართულ-რუსულ-სომხური სიტყვებით აჭრელებული პიესები იწერებოდა. სოფრომ მგალობლიშვილი კი, 1860-იანი წლების სასწავლებლის აღწერისას ამბობს: „უნდა მოგახსენოთ, რომ იმ დროს, რომელსაც ჩვენი ამბავი შეეხება, არც შეგირდებმა და არც ხალხმა არ იცოდა ქართულად სასწავლებელში საჭირო ტერმინების ხმარება“.

ქართული ენის გაწმენდა მაშინ თერგდალეულთა თაობამ იკისრა. ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა და სხვებმა

¹⁴ მ. წერეთელი. ერი და კაცობრიობა.

ქართული ენის განახლება-აღორძინების საქმეს დიდი ამაგი დასდეს. მომდევნო თაობამ კიდევ უფრო დიდი ნაბიჯები გადადგა წინ – მიხეილ ჯავახიშვილმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, დემნა შენგელაიამ, ლევან გოთუამ, გიორგი ლეონიძემ და სხვებმა უსაზღვროდ გაამდიდრეს ქართული ენა. ქართველმა მეცნიერებმა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში შექმნეს და ჩამოაყალიბეს მეცნიერების სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგია. ბოლშევიკურ-კომუნისტური რეჟიმის დროს, ქართული ენის მოვლა-პატრონობადა-მოუკიდებლობა-თავისუფლებისათვის ბრძოლას ნიშნავდა.

დღესდღეობით ჩვენი ენა ბარბარიზმებით არის დამძიმებული. დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს მშენებლობა ქართული ენის მშენებლობას, მის გაძლიერებასაც ნიშნავს. აქ უნებურად გვახსენდება იაკობ გოგებაშვილის სიტყვები: „მხოლოდ დედა-ენა არის ენა სულისა და გულისა – ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მესხიერებისა. დედა ენას ღრმად აქვს გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში. ყოველ ადამიანს დაბადებიდან ჰყვება მიდრეკილება და ნიჭი დედა-ენის ადვილად და ღრმად შესწავლისა. ის მოვლენა, რომ ზოგი ზედმიწევნით სწავლობს უცხო ენებს, სრულიად არ ეწინააღმდეგება დედა-ენის ორგანულ შეხორცებას მის ბუნებასთან“.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უძველესი და მადლიანი ქართული ენა არის ერთ-ერთი წყარო, საიდანაც ქართველები იღებდნენ თავიანთ სულიერ ძალებს – ესაა ენა, რომლის შესახებ ღირსმა მამამ იოანე ზოსიმემ თქვა: „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“.

თვითმყოფადი ეროვნული კულტურის გარეშე ვერ შეიქმნება საკაცობრიო საუნჯე და პირიქით, ოცსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ეპოქის სული ყოველთვის თან გვდევდა და ეკლესიას მუდმივად უხდებოდა მასთან ბრძოლა. ყველგან და ყოველთვის მიწიერება ცდილობდა შეეღწია ჩვენში და თითოეულის სული დაესაკუთრებინა.

ეროვნულობა ქრისტიანობაში ნიშნავს ზრუნვას შენი ხალხის იმ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, რაც მის ცხოვრებას თან სდევს, ნიშნავს იმ ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების დაცვას, რაც მისი თავისთავადობის, მეობის საფუძველია და ყოველივე ეს, ამავე დროს, სხვა ხალხებისა და ქვეყნებისადმი პატივისცემასა და კეთილგანწყობას განაპირობებს.

ვაჟა-ფშაველა თავის ნაშრომში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ – ასეთ აზრს აყალიბებს: „რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავისი სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობრებს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისათვის“¹⁵.

ჭეშმარიტების შეცნობის გარეშე არ არსებობს პროგრესი, შეუძლებელია სულიერი აღმავლობა. ჩვენ სამუდამოდ უნდა შევინარჩუნოთ ერთგულება სიმართლისა და იმ მაღალი იდეალებისა, რომლისა-თვისაც მოგვიწოდა ღემრთმა.

წარმართული სამყაროც, ზნეობრივ ფასეულობებს ადამიანისთვის აუცილებელ, მისი ღირსების მაჩვენებელ და ზეცასთან დამაკავშირებელ ნორმად მიიჩნევდა. რენანი მარკუს ავრელიუსის ცხოვრების აღწერისას ამბობს: „მარკუს ავრელიუსი იმის წყალობით გახდა მარკუს ავრელიუსი, რომ მის წინაშე იდგა ცხოვრებისეული სრულქმნილების ისეთი შესანიშნავი ნიმუში, როგორც იყო ანტონინუსი, რომელიც მან ჯეროვნად შეიცნო, შეიყვარა და დააფასა“.

თავად ავრელიუსი კი წერს: „მამობილის წყალობით ვეზიარე თვინიერებას. ის მასწავლიდა, არასოდეს მეღალატნა ხანგრძლივი ბჭობის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებისათვის, არად ჩამეგდო ფუჭი დიდება, მყვარებოდა შრომა და ყურადღებით მოვკიდებოდი ყველაფერს, რასაც ოდნავი სარგებლობის მოტანა მაინც შეეძლო ერისათვის; მასწავლიდა, როგორ მიმეგო თვითეულისათვის მისი კუთვნილი, როგორ გამერჩია, სად მღმობელი ვყოფილიყავ, სად – უღმობელი, როგორ მომეკეთა მამათმავლობის ბილწება და როგორ დავდებოდი მტლად ქვეყნის ინტერესებს... მას სურდა აღმო-ეფხვრა მემკვიდრის სულიდან ყოველგვარი მზვაობა და სანაცვლოდ უბრალოება და თავმდაბლობა ჩაენერგა; ის მასწავლიდა, შეიძლება სასახლის კარზე ცხოვრობდეს კაცი, მაგრამ არ საჭიროებდესო სხეულის მცველთ, არც მდიდრულ სამოსს თუ მაშხალებს, ქანდაკებებს და სხვათ მისთანათ, რადგან სასახლის მკვიდრსაც ხელეწიფების თურმე მდაბიორივით უბრალოდ იცხოვროს, მაგრამ ისე

¹⁵ ვაჟა-ფშაველა. კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი

კი, რომ ამ უბრალოებას არ ემსხვერპლოს ჰეგემონის მოვალეობანი, რომელთაც ხალხი და სახელმწიფო აკისრებს მას“ (I, 16, 17).¹⁶

ღვთაებრივი ჭეშმარიტება ის მაცხოვრებელი ძალაა, რომელიც შემოქმედმა თავის შექმნილ სამყაროს და კაცობრიობას უძღვნა – ესაა სიბრძნის მომტანი ცოდნა ზნეობრივი ცხოვრების შესახებ, რომლის მაგალითსაც ჯერ კიდევ ძველი აღთქმის მამათმთავარნი იძლეოდნენ თავიანთი ღირსეული ცხოვრებით. ღვთის ეს მაცხოვრებელი ჭეშმარიტება მათ გამოცხადებით მიეცათ, შემდგომ კი რჯულის მცნებებში აისახა. რწმენა უფლისა, მხოლოდ მისი თაყვანისცემა, აღთქმის ჭეშმარიტებაზე დაყრდნობა, ღვთის მცნებების აღსრულება, სიმართლით და ღირსეულად ცხოვრებას გულისხმობდა და გულისხმობს და სწორედ ესაა ადამიანისა და ერის ღირსების განმსაზღვრელი.

„დაენდე უფალს მთელი შენი გულით და შენს გონებას ნუ დაეყრდნობი“ – გვირჩევს ბრძენი მეფე სოლომონი თავის იგავებში და იქვე შეგვაგონებს: „როდესაც შევა სიბრძნე შენს გულში და ცოდნა ეამება შენს სულს, განსჯა შეგინახავს შენ, საზრიანობა დაგიცავს, რათა გიხსნას ბოროტი გზიდან, უკუღმართად მოუბარი კაცისაგან, უფალი იძლევა სიბრძნეს, მისგანაა ცოდნა და გონიერება“ (იგავ. 2. 10-11).

ახალმა აღთქმამ ზნეობისა და ღირსების განმსაზღვრელი ფასეულობები კიდევ უფრო დახვეწა და ადამიანი ქრისტეს თანაზიარი გახადა. ამიტომაც მოუწოდებს პავლე მოციქული ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში თავის ძმებს: „ჩვენ, შეუძრავს სასუფეველს რომ ვღებულობთ, ვიქონიოთ მადლი, რომლითაც სათანადოდ ვემსახურებით ღმერთს, მოწიწებითა და მოშიშებით, რადგან ჩვენი ღმერთი შემჭმელი ცეცხლია... თვალი გეჭიროთ, ძმებო, რომ ვინმე თქვენგანს არ ჰქონდეს ბოროტი და ურწმუნო გული, რათა არ განუდგეს ცოცხალ ღმერთს“ (ებრ. 4. 12).

ეკლესია ყოველთვის ქადაგებდა და მოუწოდებდა ხალხს ზნეობრივი ცხოვრებისაკენ, ხოლო როცა ათეისტურმა წყობამ აღზევების ხანას მიაღწია – დაიხურა ეკლესია-მონასტრები, იღვენებოდა წინა-პართაგან დანერგილი ქრისტიანული სული და ზნეობა, ამ დროს ტრადიციათა და წეს-ჩვეულებათა შეურყვნელმა სულმა ეკლესიებიდან ოჯახებში გადაინაცვლა, ყველა ზნეობრივ ღირებულებას – სიკეთეს, სამშობლოს სიყვარულს, მომავლის იმედს, უფროსის პატივისცემას, შრომის სიყვარულს, უანგარობას ბავშვები ოჯახსა და საზოგადოებაში სწავლობდნენ. ქუჩაში თუ უღირსად მოიქცეოდი, მეზობელი ან

¹⁶მარკუს ავრელიუსის ფიქრები. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბილისი 1972 წ.

თანაქალაქელი შენიშენას მოგცემდა – მამაშენის შვილს ასეთი საქციელი არ ეკადრებაო. წინაპრებიდან გადმოცემული მადლი, რომელიც ძველი და ახალი აღთქმით იყო გაჯერებული და რომელშიც ქრისტეს უსაზღვრო სიყვარული იყო დავანებული, შეუმჩნევლად ჩვენშიც მოქმედებდა. სწორედ ამან შეუნარჩუნა ქართველ ერს ღირსება. ჩვენი წინაპრების განწყობამ – რწმენის ერთგულებისა და ქვეყნის დაცვისადმი – შეგვაძლებინა არა მარტო ის, რომ ფიზიკურად გადავრჩით, არამედ ისიც, რომ თვითმყოფადი ქართული სამყარო შევინარჩუნეთ.

„პატრიოტიზმი არის ის, რომ შენ დარწმუნებული ხარ – შენი ქვეყანა საუკეთესოა მთელს მსოფლიოში, რადგან შენ დაიბადე იქ“, ეს სიტყვები ცნობილ მწერალს – ბერნარდ შოუს ეკუთვნის. მისი აზრი და მნიშვნელობა ქართველი კაცის გულში ფესვად ბავშვობიდანვეა გამდგარი, ამ იდეით იზრდებოდა და იკვებებოდა მისი სული ოჯახსა თუ საზოგადოებაში.

სარწმუნოების სიყვარული ქართველი ერისა, მისი სულიერი ენერგიიდან გამომდინარეობდა და ამავე ენერგიით უნდა შეიცნოს დღევანდელმა ქართველმაც „ახალი აღთქმის“ სიბრძნე.

„ღმერთი არის უმაღლესი იდეალი ყველა ჩვენი ზნეობრივი სწრაფვისა, ეს უზენაესი ძალა უდგას საფუძვლად და იგია შინაარსი და მისწრაფება ადამიანის მორალური ცხოვრებისა.

ადამიანს შეუძლია უსაზღვროდ ამაღლდეს სულიერად და შეუძლია ჩავარდეს ვნებათა უსასრულო, უძირო უფსკრულში – ორივე შემთხვევაში ის მაინც რჩება, მასში არ ქრება „ხატი ღვთისა“. ხშირად ადამიანში ვხვდებით წინააღმდეგობას: კეთილი საწყისის გვერდით ვხვდებით სრულიად სხვა ენერგიას – დემონურ ძალას, ბოროტსა და საშიშს, საშიშს თავად ამ ძალის მატარებლისათვის. ადამიანი ვალდებულია იბრძოდეს ბოროტების წინააღმდეგ. ვინ უნდა იყოს ჩვენი დასაყრდენი ამ ბრძოლაში? – ღმერთი, ქრისტე, ჭეშმარიტება, სიმართლე!“ – წერს ერთ-ერთ საშობაო ეპისტოლეში საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II.

„გეშინოდეს უფლისა და უკუიქეც ბოროტები-საგან“ – გვასწავლის სიბრძნე სოლომონისა, ხოლო ეკლესიასტე თავის თხრობას ასე იწყებს: „ამაოებათა ამოება, ყოველივე ამაოებაა!“ და ბოლოს ასკვნის: „გეშინოდეს ღვთისა და ვიცავდეთ მის მცნებეს, რადგან სულ ეს არის ადამიანი, რადგან ყველა საქმეს ღმერთი მიიტანს სამსჯავროზე, ყოველივე დაფარულს, კარგი იქნება თუ ცუდი“.

გავიხსენოთ რას მოუწოდებს პავლე მოციქული ქრისტიანებს ფილიპელთა მიმართ ეპისტოლეში: „აბა, ასე, ჩემო ძმებო, ყოველივე რაც ჭეშმარიტია, რაც პატიოსანია, რაც მართალია, რაც წმინდაა, რაც საყვარელია, რაც საქებარია, ყოველივე, რაც სათნოა და ქებული, იმაზე იფიქრეთ“ (ფილიპ. 3-8).

ყველაფერი იცვლება ჩვენს ცხოვრებაში: დრო-ჟამი, ადამიანები, მაგრამ როგორადაც არ უნდა ეცადონ ახალი „ზნეობრივი ფასეულობების“ დანერგვას, არა აქვს მნიშვნელობა ადამიანი ქრისტიანიათუ არა (რადგან ღირსება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა), არასოდეს მოხდება, რომ ღირსეული ეწოდოს ბოროტს, მკვლელს, მრუმს, სამშობლოს მოღალატეს, ცრუსა და უსიყვარულო ადამიანს.

სულის ხსნისა და გადარჩენის საქმეს ემსა-ხურება საქართველოს ეკლესია. ღოცვითა და ადამიანის ცოდვილი ბუნების საიდუმლო განახლებით იგი ასრულებს თავის მოვალეობას. ეკლესია მუდამ იყო და არის ზნეობის დამცველი, რომელიც ჩვენი ეროვნული მყოფადობის ქვაკუთხედიანია. სოციალური გარემო აყალიბებს ჩვენს ღირებულებათა სისტემას. თუ ადამიანი ხედავს, რომ მისი სურვილები ან საქციელი უზნეოა, მაშინ იგი უნდა ეცადოს შეცვალოს ვითარება. ადამიანის მორალი მისი სულის სარკეა. მისი სწრაფვა სულიერი სრულყოფილების მისაღწევად, ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა; ადამიანის ზნეობა დამოკიდებულია მისი თავისუფლების ხარისხზე. თავისუფლების არსი შესანიშნავად გამოხატა და განმარტა გაბრიელ ეპისკოპოსმა (ქიქოძემ): „თავისუფალია ადამიანი მხოლოდ მაშინ, როცა ირჩევს სიკეთეს“, „თავისუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ მოაზროვნე არსების ხელში“.

„ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი სასარგებლო როდია, ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ მე არაფერს დავემონები“ – წერს პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში (კორ. 6. 12-20) ეს სიტყვები ყველაზე მეტად გამოხატავს თავისუფლების არსს. მოციქული იქვე შეგვახსენებს: „ვინაიდან ფასით ხართ ნაყიდნი, ამიტომ აღიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით და თქვენი სულებით, რომლებიც ღვთისაა“. ადამიანმა გამწმენდელი გზით უნდა იაროს მთელი თავისი ცხოვრება. მართლმადიდებლობა არის მეცნიერება სიწმინდისა, ხელოვნება წმინდა ცხოვრებისა. ეკლესია ყველა ადამიანს მოგვიწოდებს, რომ თუ თავისუფლება გვსურს, ჭეშმარიტება უნდა შევიმეცნოთ, რომელიც ცოდვათაგან გვათავისუფლებს და სიკეთისა და ბოროტების გა-რჩევაში გვეხმარება.

უსამართლობა ღვთისაგან კი არ მოდის, არამედ ადამიანისაგან. ზოგჯერ კაცისათვის ჭირს კიდევ ცოდვა-მადლის გარჩევა. ამიტომაც შესთხოვა ღმერთს სოლომონ ბრძენმა: „მოანიჭე შენს მორჩილს გული გონიერი, რომ სიკეთე გაარჩიოს ბოროტები-საგან“ (3 მეფ. 3. 9).

დღეს ეროვნული ღირსებისა და სარწმუნოების შელახვა, ჩვენი ტრადიციებისა და ცხოვრების წესის გადაგვარება, სხვადასხვა მეთოდით ხორციელდება და ამაში დიდ როლს, სამწუხაროდ, მასმედია ასრულებს. თუ პირადული ცოდვა ამა თუ იმ ინდივიდის პრობლემაა და ღვთის წინაშე მის საბოლოო ხვედრს განსაზღვრავს, საჯაროდ ცოდვის სწავლება და დანერგვა მთელ საზოგადოებას რყვნის და ღუპავს, ღირსების გრძნობას უღახავს.

უნდა ვთქვათ იმის შესახებაც, თუ როგორ განსხვავებულად აფასებენ სოფელი და ქრისტიანობა ამქვეყნიურ იდეებსა და ჭეშმარიტების შემეცნებას. პავლე მოციქული კოლასელებს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „ეკრძალებით, თუ ვინმე იყოს წარმტყუნებელ თქვენდა სიბრძნის მოყვარებითა და ცუდითა საცთურითა მოძღვრებისა მისებრ კაცთაისა, წესთა მათებრ ამის სოფლისათა და არა ქრისტეს მიერ“ (კოლ. II. 8). ამ სიტყვებით მოციქული აფრთხილებს კოლასელებს, რომ არ ცდუნდნენ ფილოსოფიური ხასიათის ცრუ მოძღვრებითა და ამასოფლიური სწავლებებით, რომლებიც არ ეთანხმებიან ქრისტეს სიტყვას.

კლიმენტი ალექსანდრიელი ფილოსოფოსს უწოდებს ქრისტეს მაძიებელს და ამბობს: „სამი რამ ახასიათებს ჩვენს ფილოსოფოსს – 1) ის მუდმივად გონებრივ წვდომაშია; 2) ის მცნებათა აღმსრულებელია; 3) ის სათნოების მოყვარე კაცთა გამზრდელია. ერთ ადამიანში სამივე ამ თვისების თავმოყრა აყალიბებს ჭეშმარიტ ბრძენს.

რა არის ფილოსოფია? ეს არის სწრაფვა ჩაწვდე რეალურად არსებულს და განპირობებულია ამ ძიებებისაკენ მიმართული სიბეჯითით. ეს სიბეჯითე და საგულდაგულო ძიება საჭიროა მაშინაც, როდესაც ყოველდღიური წვრთნით უკვე მოპოვებულია სიკეთის ქმნის უნარი, ანუ მაშინაც კი საჭიროა ცდილობდე მუდმივად მასში ყოფნას და ყოველდღიურად მის განვითარებას. ის მიემსგავსება ღმერთს, ვინც ჩვენი მაცხოვრის, დიდი მღვდელმთავარ-ლოგოსის შუამდგომლობით ემსახურება შემოქმედ ღმერთს – მამა ღმერთს. ქრისტეს შუამდგომლობაზე ვსაუბრობ იმიტომ, რომ ყოველივე კეთილშობილი და მართალი შეიმეცნება სრულყოფილებაში, მასზე (ანუ ქრისტეზე) ჭეშმარიტი სწავლებით და მისივე დახმარებით. ის გვიჩვენებს, რომ

სათნოებანი არიან ქმედითნი და თანახმად ღვთის ნებისა, ხდება ჩვენი მოვალეობების აღსრულება“.¹⁷

ეკლესია ყველას სინანულისაკენ მოუწოდებს. ცოდვის ცხოვრების წესად დამნერგავს კი, დაუნდობლად ებრძვის მხილების ბასრი მახვილით, რათა დაიცვას თავისი ერი.

დღევანდელ დღესაც მკაფიოდ მიესადაგება ილიას სიტყვები: „ეხლანდელ დროს რაღაც ხიფათი შეემთხვა და ადამიანის ლოგიკამ გზა შეიშალა, თითქო ან მართულები მოეშალა, ან ღერძი გადაუბრუნდაო. სულ ყველაფერი აირივ-დაირივა, ტყუილი და მართალი ველარავის გაურჩევია. ქვენა-გრძობანი ზენა-გრძობათა ადგილას გამეფდნენ, ცოდვამ მადლის პირბადე ჩამოიფარა, ყალბი ხალასად გადის და ნაძირალა თავანკარად, თითქოს ჭკუისა და გულის აღებ-მიცემობაში აღარ იშოვება საწყაო ცოდვისა და მადლისა, ტყუილისა და მართლისა“.

ურწმუნოება ახალს ვერაფერს შესძენს და ვერც აღუდგენს კაცობრიობას, არამედ ყველაფერს დაღუპავს. ზნეობრივი არჩევანისა და თვითდამკვიდრების ნიჭი ჩვენში უფლის მიერაა ჩადებული. ამიტომ ადამიანს ჯერ კიდევ ამ ცხოვრებაში შეუძლია მიაღწიოს იმ მდგომარეობას, როდესაც ბოროტება კარგავს მასზე ძალაუფლებას – სწორედ ეს არის თავისუფლება ქრისტეში.

რაგინდ წარმტაცი და მომხიბლავი არ უნდა იყოს ადამიანისათვის ეს ნივთიერი ქვეყანა თავისი ცოდვილი სიამტკბილობით, იგი მაინც ვერ კმაყოფილდება; რაგინდ დიდ ბოროტებაში არ უნდა იყოს ჩაფლული და დაცემული ადამიანი, მასში მაინც ბუუტავს მისი ზექვეყნიური არსებობის ნაპერწკალი – ეს არის მისი სინდისი. აი რას წერს წმინდა ბერი ალექსი შუშანია სინდისზე: „სინდისი უწმინდესი სასამართლოა, უშიშარი, პირმოუფერებელი და თან უტყუარი, ჭეშმარიტი მსაჯული, ნათელი მოძღვარი, ღვთის ნათლისაგან გამოსრული ნაპერწკალი... ახლა რას იტყვი, ძმაო ჩემო საყვარელო? თუ გინდა სრულიად საღმრთო წიგნთაგან სიბრძნის გადმოცემა დაადუმო, შენს შინაგან ხმას მაინც ვერ გაექცევი და შენი საკუთარი სინდისი და გონება, თუ არ გაველურდა მთლად და არ მოკვდა, სწორედ გაცნობებს შენს თანამდებობას და შენს მაღალ აღსავალთ“.

ზნეობრიობა ძალზედ მრავლისმომცველია. იგი თავგანწირვის, სიკეთის, მოწყალების, წინაპრების პატივისცემის, სამშობლოს სიყვარულის, ღირსეული ოჯახის შექმნის, კარგი შვილების აღზრდისა და სხვა სათნოებების ერთობლიობაა.

¹⁷ Св.Климент Аликсандрийский. Отцы и учителя Церкви III века т.2

განა ზნეობას არ შესწირა თავი მღვდელ-მოწამე გრიგოლ ფერაქემ? მისი თავგანწირული მოქმედებების შედეგად გადაურჩა გერმანელი ფაშისტებისაგან კონფისკაციას საქართველოს ეკლესიის განძეულობა, რომელიც საფრანგეთში ინახებოდა. მან, როგორც ექსპერტმა, სიკვდილის საფრთხის მიუხედავად, დასკვნაში აღნიშნა, რომ ქართველთა საგანძური, არავითარ მატერიალურ ფასეულობას არ წარმოადგენდა და მხოლოდ ეროვნული ღირებულება ჰქონდა.

მამა გრიგოლი გესტაპომ დააპატიმრა იმ მიზეზით, რომ იგი ეხმარებოდა და იფარებდა ფაშისტებისაგან დევნილ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს. იგი გაზის კამერაში მოაკვდინეს.

არანაკლები თავგანწირვის მაგალითია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოჩენილი გმირობა – იგი წლების განმავლობაში ემიგრანტად იმყოფებოდა საფრანგეთში და იცავდა მენშევიკური მთავრობის მიერ გატანილ საბანკო ვალუტას, სამუზეუმო განძეულობას, ძველ ხელნაწერებს. ამხელა საგანძურის მფლობელი ექვთიმე შიმშილისა და ავადმყოფობისაგან ბევრჯერ დაღუპვის პირამდე იყო მისული, მაგრამ ღმერთისა და ერისაგან დაკისრებული მოვალეობებისათვის არ უღალატია. მან, დიდი ძალისხმევით შედეგად, შეძლო საგანძურის დაბრუნება სამშობლოში.

ქართულმა ეკლესიამ გრიგოლ ფერაქე და ექვთიმე თაყაიშვილი წმინდანებად შერაცხა.

მთავარი და განმსაზღვრელი ჩვენი ერის ღირსებისა მუდამ იყო სიყვარული შრომისა და ცოდნის მიღებისა. ამიტომაც იყო, რომ როდესაც წმინდა მეფე დავით აღმაშენებელმა გელათის აკადემია გახსნა, ბრძანა, რომ იგი გამხდარიყო „ახალი ათინა“ – თავისი მეცნიერებით და „მეორე იერუსალიმი“ – თავისი სულიერებით.

„მცნება სანთელია, მოძღვრება – სინათლე, ცხოვრების გზა კი – დამრიგებლური შეგონება... წადი ჭიანჭველასთან, ზარმაცო, ნახე მისი გზები და დაბრძენდი. არა ჰყავს მას არც უფროსი, არც ზედამხედველი და არც ბატონი, იმზადებს ზაფხულში თავის პურს, აგროვებს მკის დროს თავის საზრდოს“ – გვეუბნება სოლომონ ბრძენი, ხოლო იაკობ მოციქული თავის წერილში შეგვაგონებს, რომ „თუ რომელიმე თქვენგანს აკლია სიბრძნე, სთხოვოს ღმერთს, ყველასათვის უხვად და დაუყვებდრებლად გამცემს და მიეცემა“.

კიდევ ერთი ღირებულება განგვასხვავებს ქართველ ერს სხვა ერთაგან – ესაა სტუმართმოყვარეობის მადლი. „სტუმართმოყვარეობა არ დაივიწყოთ, ვინაიდან ზოგიერთებს ანგელოზებისათვის გაუწევიათ სტუმართმოყვარეობა და არა სცოდნიათ“ – წერს პავლე მოციქული

ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში. ქართველი ერი ის ერია, რომელიც სტუმარს მუდამ „ღვთისკაცად“ ჩათვლის და მართალი ღოტის მსგავსად მუდამ დაიცავს არა მარტო მის ღირსებასა და ინტერესებს, არამედ სიცოცხლესაც, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად.

ადამიანის ცხოვრების მიზანი მარტო პირადი კმაყოფილების ძიება როდია, არამედ დაუსრულებელიწინსვლაა გონებრივ-ზნეობრივი სრულყოფილებისაკენ. წამყვანი ძალა ამ გზაზე სიკეთის კეთებაა. მადლობა ღმერთს, რომ ქართველ კაცს მუდამ მოწყალე გული ქონდა. დღეს, როგორც არასდროს, ისე ჭირდება კაცს სიკეთის კეთება – ირგვლივ იმდენი გაჭი-რვებულია, რომ მარტო პირადი ბედნიერებით ტკობის უფლება არა გვაქვს და ამ ძნელბედობის წლებშიც ეს სათნოება მკვეთრად წარმოჩინდა. არადა, რა ნეტარებას პირდება უფალი მოწყალე ადამიანებს! „ნეტარ-არს მიცემა, ვიდრე მოღებისა“ – ბრძანებს მოციქული (საქმე 20.35).

„ჰოი, კურთხეული და ყოვლად სამადლობელი მცნება ღვთისა! ხომ ჰხედავ ძმაო, რას გეუბნება ღმერთი: „ერთისათვის ასს მიიღებთ აქაცა და იქაცა!“ აი დიდებული და საღმრთო ვაჭრობა: ერთი ასობით უეჭველ ყოფილ და მოგებულ! ცა და ქვეყანა წარხდეს, ხოლო სიტყვა ღვთისა არა წარხდეს. მაშინ რა მიზეზია, რომ მოწყალეობას არ შერები? თუ სიმდიდრე გიყვარს, ჰქმენ მოწყალეობაც და უმეტესად განგამდიდრებს უფალი ცისა და ქვეყანისა! ნუ ვინ მიზეზობს სიღარიბისათვის, რამეთუ ეს ნეტარება ისეთი მადლიანია, რომ ღარიბს და მდიდარს თანასწორად აჯილდოებს, უკეთუ გული მისი მცნობელია მოწყალეობის ღირსებისა, რადგან ღმერთი არა სიუხვეს შეწირულობისას აფასებს, არამედ სიუხვეს გულისას“ – წერს წმინდა ბერი ალექსი შუშანია.

ქართველი ერი ყოველთვის დიდ პატივს მიაგებდა თავის წინაპართ. სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია წვრთნიდა და წვრთნის თავის ერს. წარსული ყოველთვის გაკვეთილი უნდა იყოს ჩვენი დღევანდელი და მომავალი ცხოვრებისა და საქმიანობისათვის. ჩვენმა წინაპრებმა განსა-კუთრებით იცოდნენ მშობლის სიყვარული და დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ მათ რჩევებსა და კურთხევას. ძველი და ახალი აღთქმა მშობლისადმი მორჩილებასა და პატივისცემას გვასწავლის. „მამისა და დედის მაწყევარს სანთელი ჩაუქრება უკუნეთ წყვიდადში“ – ვკითხულობთ სოლომონის იგავებში.

„შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზე გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღლის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო

შემცდარი, რა ავი მიიხნია კეთილად, რა კეთილი – ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა, რისთვის და რაში უქმობდა, უამისოდ თვითონ შვილი, რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს ეგვანებადა ამ წუთისოფელში ვერას გახდება“ – წერს წმინდა ილია მართალი თავის წერილში „ერი და ისტორია“.

დღესდღეობით, გლობალიზაციისადმი სწრაფვამ გააფერმკრთალა ოჯახური ტრადიციები. არადა ოჯახი, ქორწინება და შვილიერება, თვით ღვთით დადგენილი მისტერიებია. „ამისთვის დაუტეოს კაცმან მამა თვისი და დედა თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა, და იყვნენ ორნივე იგი ერთ ხორც“ (დაბ. 2. 24).

ქრისტიანული სიყვარული გულისხმობს თავ-განწირვას, ოჯახისა და მშობლებისადმი პატივისცემასა და პასუხისმგებლობას – ესაა ახალი ცხოვრება. ქორწინებას პირადი თავისუფლების შეზღუდვა მოაქვს, მაგრამ მეუღლეთა ურთიერთსიყვარული და მათი სიყვარული შვილები-სადმი ამ მსხვერპლს სრულად ანაზღაურებს. მეუღლეთა ცხოვრებაში ყველაზე მთავარი პირობა ერთგულებაა. სიძვა ოჯახის სიწმინდეს არღვევს და მძიმე ცოდვას ღვთის წინაშე. საღმრთო წერილში ამის შესახებ ნათქვამია: „პატიოსან არს ქორწილი ყოველითავე და საწოლი შეუგინებელ, ხოლო მეძავნი და მემრუმენი საჯნეს ღმერთმან“ (ებრ. 13. 4).

ოჯახური ურთიერთობები ღრმავდება ბავშვების დაბადებით. მათი აღზრდისას უმთავრესია მშობლების მაგალითი, მათი შინაგანი ცხოვრება, სიმართლე და ჭეშმარიტება. ოჯახში, სადაც არაა შინაგანი სულიერი ერთობა ადამიანისა ღვთიურ სამყაროსთან, იქ არც სრულყოფილი სიყვარულია. ყოველი მამაკაცის თავი ქრისტეა, ცოლის თავი – ქმარი და ქრისტეს თავი – ღმერთი, ამბობს პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში. პეტრე მოციქული კი ურჩევს ცოლებს „დაემორჩილონ თავიანთ ქმრებს, რათა ისინი, ვინც არ ერწმუნებიან სიტყვას, სიტყვის გარეშე გახდნენ მოგებულნი თავიანთი ცოლების საქციელით“.

ყოველი ერის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესია სიცოცხლის უნარიანობა, გამძლეობა, შობადობა, მითუმეტეს ისეთი მცირე ერისათვის, როგორცაა ქართველი ერი. ცოლ-ქმრული სიყვარული მორალურია, მასზე ღვთის ღოცვა-კურთხევაა, იგი სულიერად ამაღლებს ცოლ-ქმარს, აძლიერებს მათში ურთიერთ-სწრაფვას. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ აგრეთვე შვილებსაც. მათი ბედნიერება და კეთილდღეობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე,

თუ როგორ ეპყრობიან ისინი მშობლებს. ერთ-ერთი, ათი ცნებიდან, რომელიც მოსეს ღმერთმა სინას მთაზე მისცა, პირდაპირ მიუთითებს: „პატივი უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა, ვითარ გამცნო უფალმან ღმერთმან შენმან, რათა კეთილი გეყოს შენ, და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა, რომელი იგი უფალმან ღმერთმან შენმან მოგცეს შენ“ (რჯულ. 5. 16).

ოჯახში დიდი როლი აკისრია ქალს. იგი, უპირველეს ყოვლისა – დედაა. დედობის ძირითადი ფუნქციის შესრულება განსაზღვრავს მის საერთო სახეს, მის ღირსებას როგორც ადამიანისას, გამგრძელებელს კაცთა ნათესავისა. ძნელია გაგება ქალისა, რომელიც გაურბის თავის ძირითად მოვალეობას – დედობას.

„და თქვა უფალმან ღმერთმან... უქმნეთ მას შემწე მსგავსებისაებრი“ (დაბ. 2.18). ჩვენ მივიჩნევთ შემწეს შვილთა სხმაში და ჭეშმარიტად საუკეთესო თანაშემწეს. რამეთუ, უკეთუ სიტყვა „თანაშემწეს“ აღვიქვათ კარგი შინაარსით, აღმოვაჩინოთ, რომ, ქალის მნიშვნელობა შთამომავალთა შობის საქმეში უდიდესია და მსგავსია დედამიწის მნიშვნელობისა, რომელიც თავიდან დაჰფარავს თესლს, შემდგომ დაათბობს მას თავისი სითბოთი და საბოლოოდ აღმოაცენებს დანერგილს. აი, რაში მდგომარეობს კეთილი დახმარება ქალის მხრიდან, თუმც მიიჩნეოდეს, რომ დამხმარე უმრწემესია იმაზე, ვისაც ეხმარება“.¹⁸

შვილის შედეგიანი აღზრდა მხოლოდ იმ ოჯახშია შესაძლებელი, სადაც მას ასწავლიან რწმენასა და ღოცვას, სადაც მშობლებს შორის ურთიერთპატივისცემა სუფევს, სადაც არა მხოლოდ ბავშვებისაგან მოითხოვენ მაღალზნეობრივ თვისებებს, არამედ თვით მშობლებიც მორალური ნორმების დამცველნი არიან.

აი, როგორ მიმართავს ჩვენი პატრიარქი თავის საშობაო ეპისტოლეში ქართველ დედებს:

„შვილიერება და ბავშვების აღზრდა უდიდესი ღვაწლია, რომელიც ყველა სხვა სამსახურზე მაღლა დგას. თქვენზეა დამოკიდებული ჩვენი ერის მომავალი. გვიჩვენეთ მაგალითი რწმენისა და სიყვარულისა, სიყვარულისა ღვთისა და სამშობლოსადმი. გვიჩვენეთ მაგალითი თავგანწირული დედობისა, იყოლიეთ იმდენი შვილი, რამდენსაც გაჩუქებთ ღმერთი. შვილები თქვენი საყრდენნი იქნებიან სიბერეში და იმდენი ჩვენი ერისა. ჩვენი ბავშვები უნდა ასახავდნენ თავიანთ თავში

¹⁸წმ. ამბროსი მედიოლანელი. სამოთხის შესახებ

ყველაფერს, რაც შეადგენს კულტურულ სიმდიდრეს ჩვენი ერისას. დედის რძესა და აღერსთან ერთად ბავშვებმა უნდა შეისისხლხორცონ ყველაფერი, რაც ახასიათებს ჩვენს ქრისტიანულ მოყვარულ ერს: ღრმა რწმენა, მხურვალე სიყვარული ღვთისა და ადამიანისა, ჩვენი სამშობლოსი, პატივისცემა სხვა ერებისა და მათი კულტურისა, ყველა ის სიკეთე, რითაც ამაყობდნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები“.

ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის, ზნეობრივი, სულიერი ფასეულობების შესანარჩუნებლად მუდამ იბრძოდა და იბრძოლებს ქართული ეკლესია. ეკლესიაშია დაგანებული ის ერთადერთი ჭეშმარიტება, რომელსაც ძალუძს ხსნა ერისა და თუ რამ ავი და საზიანო შეგვხვედრია ისტორიის მანძილზე, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ვუორგულდებოდით, სათანადოდ არ ვაფასებდით დედა ეკლესიას. საქართველო და ეკლესია განუყოფელი ცნებებია, ის კი არადა, ჩვენი ქვეყნისა და ქართველობის არსებობის საფუძველსა და წინაპირობას მხოლოდ და მხოლოდ ყოველმხრივ ძლიერი ქართული მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენდა და წარმოადგენს!

„ჩვენს რთულ ეპოქას, დამძიმებულს ტყვიით და წამლით, მშვიდობა უნდა და სიყვარული ... ჩვენს სამშობლოსაც, საქართველოს, შრომისა და სიყვარულის მარად ერთგულ ხალხს მშვიდობა უნდა!“ – ბრძანებს პატრიარქი ილია II საშობაო ეპისტოლეში.

დღესაც ძალზედ საჭირობოროტოა წმ. მღვდელ-მოწამე კირიონ II-ის შემდეგი სიტყვები: „რჩეულნო ივერიისანო, თქვენ უნდა იხსნათ სამშობლო განსა-ცდელისაგან, თქვენ უნდა განუსვენოთ მას, მიიყვანოთ ნავთსაყუდელსა მყუდროსა და დაამყაროთ მასში ძმობა, მშვიდობა, წესიერება და ბედნიერება. თქვენი ერთობა, ერთსულოვნება და დღისა და ვარამის განმსჭვრეტელობა წინდი არს იმისა, ვითარმედ „აღდგებიან მკვდარნი“, საქართველო გაცხოველდება და ქართველი ერი კვლავ აღბეჭდავს მატეანესა შინა კაცობრიობისასა საქმეთა თვისთა საგმირთა. იყავნ, იყავნ!“